ნატა ბოლქვაძე

სახელმწიფო მართვის სკოლა

ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტი, პოლონეთი

„Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, პოლონეთში, ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტში გავატარე ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და შთამაგონებელი გაზაფხულის სემესტრი. ეს არ იყო მხოლოდ აკადემიური გამოცდილება, არამედ უამრავი ახალი მეგობრის, თავგადასავლისა და კულტურული გაცვლის მოზაიკა, რომელმაც სრულიად ახალი თვალით დამანახა სამყაროს მრავალფეროვნება.

პირველი დღეებიდანვე პოზნანმა მომხიბლა თავისი სითბოთი და ხალხმრავალი სტუდენტური გარემოთი. გაცვლითი პროგრამის მონაწილეების გაცნობამ და თითოეულ მათგანთან ურთიერთობა იყო დაუვიწყარი და შთამბეჭდავი გამოცდილება.

მე არა მარტო გავიცანი პოლონეთის კულტურა, ტრადიციები და ცხოვრების სტილი, არამედ მეც მქონდა შესაძლებლობა, გამეზიარებინა ქართული კულტურის უნიკალურობა, ჩვენი ისტორია და ტრადიციები. ხშირად, ჩვენი საუბრები გვიან ღამემდე გრძელდებოდა, სადაც ერთმანეთის ისტორიებს ვყვებოდით და ვსწავლობდით იმ განსხვავებებს, რაც კიდევ უფრო გვაერთიანებდა. გვქონდა საერთაშორისო ვახშამიც და კარგად მახსოვს ის კურიოზული შემთხვევა თუ როგორ გაქრა ჩემი მომზადებული ხუთი ხაჭაპური მაგიდიდან წამების განმავლობაში.

პროგრამამ მომცა ასევე შესაძლებლობა მემოგზაურა ევროპის სხვადასხვა ულამაზეს ქვეყანაში. ევროპული კულტურის სიმდიდრე და სილამაზე უდავოდ შეუდარებელია და ნამდვილად საამაყოა, რომ საქართველო ამ კულტურის ნაწილი ისტორიულად იყო.

მადლობა კავკასიის უნივერსიტეტს, რომელმაც ეს არაჩვეულებრივი შესაძლებლობა მომცა. Erasmus+ პროგრამამ მასწავლა, როგორ ვიყო საკუთარი თავის საუკეთესო ვერსია, როგორ გავიხსნა ახალი გამოწვევების წინაშე და როგორ ვიპოვო საერთო ენა სრულიად უცხო კულტურებთან. ეს გამოცდილება იყო ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი გამოცდილება და ყველას ვურჩევ, გამოიყენონ მსგავსი შესაძლებლობა”.